1975 წლის აგვისტოში ვარშავაში შედგება რუსული ენისა და ლიტერატურის საერთაშორისო ასოციაციის III კონგრესი, რომელსაც 2.000 კაცზე მეტი დაესწრება. უკანასკნელ ხანებში რუსული ენის მიმართ ინტერესი გამოიხატება არა მარტო პირი შესასწავლელი ადამიანების რაოდენობის ზრდით, არამედ აგრეთვე სწავლების ხარისხის გაუმჯობესებით, მეთოდიკის, სახელმძღვანელოების, ლექსიკონების სრულქმნით. სწორედ ამით აიხსნება კონგრესის მიერ არჩეული თემა: „რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეცნიერული საფუძვლები და პრაქტიკა".

ეროვნული კადრების მომზადების საქმეში რუსული ენის ინსტიტუტის როლის შესახებ ილაპარაკა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სერგეი სოხინმა.

ინსტიტუტში გახსნილია ორი დაუსწრებელი გაკვალიფიკაციის სახლი-გარეთის მოკალაქეებისათვის. ერთ ჯგუფში რუსული ენის მასწავლებლები ამაღლებენ კვალიფიკაციას, ხოლო მეორე შექმნილია არაფილოლოგი სპეციალისტებისათვის, რომელთაც სურთ მეცნიერულ-ტექნიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურა წაიკითხონ რუსულ ენაზე, აწარმოონ საქმიანი მიწერ-მოწერა.

საცხოვრებელი და ადმინისტრაციული ნაგებობების ახალი კომპლექსის ნგრენებლობის დასრულების შემდეგ მეცადინეობა დასწრებულ ფაკულტეტებზეც დაიწყება.

წელს სამ სოციალისტურ ქვეყანაში — ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთსა და უნგრეთში რუსული ენის ინსტიტუტმა გახსნა თავისი ფილიალები, ისინი საკონსულტაციო და მეთოდოლოგიურ ცენტრებად იქცნენ. შემდგომში ამგვარივე განყოფილებები სხვა სახელმწიფოებშიც გაიხსნება.

ყოველწლიურად ჩვენს ქვეყანაში თავიანთი ცოდნის გასაუმჯობესებლად 10-12 ათასი უცხოელი ჩამოდის, ხოლო იმ ქვეყნების რიცხვმა, სადაც რუსული ენას სწავლობენ, 89-ს მიაღწია. ბუნებრივია, იზრდება მოთხოვნილება სახელმძღვანელოებზე, წიგნებზე, სასწავლო ფილმებზე.

ახალგაზრდა, მაგრამ სწრაფად მზარდი გამომცემლობის „რუსკი იაზიკ"-ის რედაქტორის ვლადიმერ ნაზაროვის მოხსენებამ ცხარე კამათი გამოიწვია. 1975 წელს გამომცემლობა, ასრულებს რა 74 ქვეყნის შეკვეთებს, თავისი უცხოელი მკითხველებისათვის 154 დასახელების წიგნებს გამოუშვებს 26 ენაზე, ხოლო 1976 წელს — 226 დასახელების წიგნებს. ლექსიკონები კი ამჟამად პრაქტიკულად ყველა ქვეყნისათვის გამოდის.

რუსული ენისა და ლიტერატურის დღესი პირადი პრობლემაა, — წერს „ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბუნი", — მეორე ორანაკელ მნიშვნელოვანი პრობლემაა ექიმების ნაკლებობა შეერთებულ შტატებში: ბარბადოსი, ტრინიდადი სხვადასხვა ადგილას ამიან ექიმზე, მართლაც არსებობს ასეთი ნაკლებობა თუ მთელი საქმე სამედიცინო კადრების ცუდი გადანაწილებაა. მაგრამ შეერთებულ შტატებში უკვე მრავალი წელი ეწევიან წელიწადში შვიდი ათასამდე უცხოელი ექიმის „იმპორტს". ბევრი მათგანი მოდის აზიის ქვეყნებიდან, სადაც მედიკოსთა უდიდესი ნაკლებობაა".

ამერიკის სამედიცინო ასოციაციის მონაცემებით, რომელიც ეურნალმა „ი. ს. ნიუს ენდ ეორლდ რიპორტსა" გამოაქვეყნა, 346 ათასი ექიმიდან, რომლებიც ამჟამად პრაქტიკას ეწევიან ამერიკის შეერთებულ შტატებში, 69 ათასი გამოშვებულია უცხოთის სასწავლებლების მიერ: ყოველ მეხუთე დოქტორს ექიმის დიპლომი მიღებული აქვს არა აშშ-სა და არა კანადაში. სახელმწიფო სამკურნალო დაწესებულებებში, განსაკუთრებით სულით ავადმყოფთა კლინიკებში, ექიმები, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ ოკეანეს გაღმა, რვაკერ მეტია, ვიდრე ისინი, ვისაც დამთავრებული აქვს ამერიკის სასწავლებლები.

ექიმთა ეს მრავალი წელს „იმპორტი" ცუდი ბიზნესი როდია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეროთი ექიმის მომზადების ღირებულება ამერიკის შეერთებულ შტატებში 50 ათას დოლარს აღემატება. ადგილი გამოსაანგარიშებელია, რომ 7 ათასი ექიმის „შეყვანა" იძლევა ეკონომიას ფანტასტიკურ თანხას — 350 მილიონ დოლარს. მედიცინის სპეციალისტთა გადაბირება აშშ-ში, ახლა ხდება საავადმყოფოებში სტაჟირების, გახანგრძლივების ამაღლების საბაბით, დიდი ჰონორარებით და ა. შ.

ინფლაციამ კიდევ უფრო ძვირი გახადა უმაღლესი განათლება ბიზნესი აშშ-ში, და ახლა ეს საბოლოოდ შეძლებულთა პრივილეგია ხდება. ეურნალი „ნიუს ენდ ეორლდ რიპორტსა" გამოაქვეყნა, 346 ათასი ექიმიდან, რომლებიც ამჟამად პრაქტიკას ეწევიან ამერიკის შეერთებულ შტატებში, 69 ათასი გამოშვებულია უცხოთის სასწავლებლების მიერ: ყოველ მეხუთე დოქტორს ექიმის დიპლომი მიღებული აქვს არა აშშ-სა და არა კანადაში. სახელმწიფო სამკურნალო

სოფია. გამოჩენილი საბჭოთა მოქანდაკის ე. ვუჩეტიჩის ნამუშევართა გამოფენაზე, რომელიც ფაშიზმზე გამარჯვების 30-ე წლისთავს მიეძღვნა.

ბტა — სკკდესის ფოტო.

ინფლაციის მწარე შედეგები

კიდევ ერთი „დაკარგული თაობა"

ახალგაზრდებს, რომლებმაც დამოუკიდებელი ცხოვრების გზა დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში XX საუკუნის ოციან წლებში დაიწყეს, ხშირად უწოდებენ „დაკარგულ თაობას". ეს ხატოვანი განსაზღვრა განეკუთვნება დასავლეთის ახალგაზრდობის ფართოფენებს, რომელიც პირველმა მსოფლიო ომმა ცხოვრების ჩვეული ყალაპოტიდან ამოგდო, იმ ადამიანთაგან ბევრს არ უნდოდა შეერიგებოდა გარემომცველი სამყაროს წესრიგდაგებებს, იტანჯებოდა გულგატეხილობისა და სევდის სინდრომისაგან, რომელიც მათ ადგილიდან ადგილზე ერეკებოდა. მათი დამახასიათებელი იყო ავადმყოფური გამოხმაურება გარემომცველი სამყაროს ფასეულობებზე, ბუნტალური განწყობილებანი მამათა „იდეალების" მიმართ.

„ჩვენ მეორე დაკარგული თაობა ვართ! — უთხრა ამის წინათ გაზეთ „ინტერნეშნლ ჰერალდ ტრიბიუნის" კორესპონდენტს ამერიკელმა ჰიპეკმა ბარი ჯორდანმა, ბარბადოს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტმა. — ზოგჯერ მე თავს განდეგილად ვგრძნობ".

შემთხვევითი როდია, რომ ტერმინი „დაკარგული თაობა" კვლავ გოიხსენიებენ ოციან წლებს. ეს ეპოქა ხნის წინანდელი ამბების შემდეგ, როგორიც არის ამერიკელი ახალგაზრდობის მღელვარე გაბოსვლები ინდოჩინეთის ბინძური ომის შემდეგ, რასთან ერთად დისკრიმინაციისა და ოკეანესმიერი ცხოვრების წესის" სხვა ამდენადვე მანანჯი მხარეების შემდეგ. უკვდებულებად, განდეგილებად გონონგენ თავს ამერიკის შეერთებულ შტატებში ასობით და ასეულ ათასობით ახალგაზრდები, რომლებიც კორეიდან და ინდოჩინეთიდან დაბრუნდნენ და ინდოჩინელთა ბრალეულ ომში ბრალეულ ომში ბრალეულ ომში

X. ფორლის ვიზიტები

ბულგარეთი. დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. ფორდის ოფიციალური ვიზიტი რუმინეთში.

ვიზიტის დროს გაიმართა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ნ. ჩაუშესკუსა და ჯ. ფორდის მოლაპარაკება. მოლაპარაკებაზე განხილულ ორმხრივი ურთიერთობისა და თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები.

ვიზიტის დამთავრებისას ხელი მოაწერეს რუმინეთ-ამერიკის ერთობლივ კომუნიკეს, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მუშაობის წარმატებით დამთავრება დიდმნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია კონტინენტზე. უშიშროების უზრუნველყოფისა და თანამშრომლობის განვითარების გზაზე და ხაზგასმულია, რომ საჭიროა დაიცვან ჰელსინკში მიღებული დასკვნითი დოკუმენტის ყველა დებულება.

ბელგრადი. აქ ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. ფორდი. მასთან ერთად ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი. (საკადესი).

მშვიდობის ხელშეკრულება

დელი, (საკადესი). ინდოეთის საზოგადოებრიობა ემზადება ფართოდ აღინიშნოს სსრ კავშირისა და ინდოეთის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების მეოთხე წლისთავი. ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურულმა საზოგადოებამ, სრულიად ინდოეთის მშვიდობისა და სოლიარობის ორგანიზაციამ შექმნეს ლიტერატურული ღონისძიებანი ინდოელ მოწყობის წარმომადგენლობითი მოსამზადებელი კომიტეტი, რომელშიც შეეიდნენ მმართველი პარტიის ინდოეთის ეროვნული კონგრესის, ინდოეთის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწენი, შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების თვით დასახელება, მისი მუხლების შინაარსი წარმომდგენენ იუბილეიან ბაზის, რათა კიდევ უფრო განმტკიცდეს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და სხვა დარგებში, განსორციელდეს ეროვნული ღონისძიებანი მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის არა მარტო ინდოეთსა და სსრ კავშირს, აზიის რეგიონის ქვეყნებს შორის, არამედ მთელ მსოფლიოშიც, აღნიშნა საკადესის კორესპონდენტთან საუბარში ინდოეთის მშვიდობის მოძრაობის თვალსაჩინო მონაწილემ სამრეწველო განვითარებისა და მოპარაგების სახელმწიფო მინისტრმა ბ. ჯ. მაურიამ.

ს. დემირელის განცხადება

ნიუ-იორკი. (საკადესი). თურქეთის მოღალატეობა ვერ ექნება ამერიკის შეერთებულ შტატებთან ავადმყოფობა დარგში თანამშრომლობის შესახებ ახალი შეთანხმების დადების თაობაზე, სანამ ძალაში ამერიკის ემბარგო იარაღის მიწოდებაზე, განაცხადა სტამბოლში გამართულ პრესკონფერენციაზე თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ს. დემირელმა. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იტყობინება, დემირელმა დაადასტურა, რომ მან უარყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წინადადება უსასყიდლო დახმარების სახით გადასცეს თურქეთს 50 მილიონი დოლარის საბრალო ტეტ-ტალ.

ათენის სასამართლო პროცესზე

ათენი. (საკადესი). ათენის კორადაღოსის საპატიმროში გრძელდება 1967 წლის 21 აპრილის სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორთა გასამართლება. როგორც ვიცით, ამ გადატრიალების შედეგად საბერძნეთში ხუნტის დიქტატურა დამყარდა.

სასამართლოზე მოწმეებად გამოიწვიეს ხუნტის მიერ დამხობილი მთავრობის ყოფილი პრეზიდენტ-მინისტრი კანელოპულოსი, ყოფილი ორი ყოფილი მინისტრები და სამხედრო მოსამსახურენი. მათ ილაპარაკეს ტრაგიკულ შედეგებზე, რომლებიც საბერძნეთში ხუნტის შედეგლად დიქტატურას მოჰყვა.

საბერძნეთის საზოგადოებრიობა ყურადღებით ადევნებს თვალს სასამართლო პროცესს, რომელიც აშფოთებს დემოკრატიულ პრესას. გაზეთი „ეროსპასტისი" აღნიშნავს, რომ არც საბოლოდ დასკვნაში, არც მოწმეთა ჩვენებაში არც ერთი სიტყვაც არ არის ნახსენები გადატრიალების მოშზადებაში ხიტოს როლი.

მსჯავრდებულთა სკამზე არიან მხოლოდ გადატრიალების შემსრულებელნი, და არა ისინი, ვინც მთავარსენენ და ორგანიზაციას უწევდა მათ. — ნატო და საბერძნეთის რეაქცია, რომლებიც ჩრდილში რჩებიან, ხაზს უსვამს გაზეთი.

უეთქმულების მსხვერპლი

ახალი ფაქტები მემფისში ჩადენილი მკვლელობის შესახებ

ნიუ-იორკი. (საკადესი). ახალი ფაქტები მოწმობენ, რომ ზანგთა ოქალაქეობრივი უფლებების თავისაჩინო მებრძოლი, მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი ლუთერ მარტინ ლუთერ კინგი მოკლულია საშინელი ამერიკის რასისტთა შეთქმულების შედეგად, და არა მარტოხელა მკვლელის მიერ, როგორც ადასტურებს 1968 წლის აპრილი მემფისში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების ოფიციალური გერსია.

როგორც პრესკონფერენციაზე განაცხადა ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტის პოლიციის უფროსმა რეგინალდ ოვსმა, მისი დეპარტამენტის მიერ ზეთელი რიგი ახალი ფაქტების შესწავლამ ცხადყო, რომ „კინგის საქმესთან დაკავშირებით ძალზე ბევრი საკითხი უპასუხოდ დარჩა". რ. ოვსი, ჯერჯერობ. ეყრდნობა ზანგი ჯაბუკის რობერტ უოტსონის წერილობით ჩვენებას, რომელმაც 1968 წლის მარტში შემთხვევით მოკრა ყური ოთხი თეთრკანიანის საუბარს. ისინი მარტინ ლუთერ კინგზე თავდასხმის გეგმის დეტალებზე მსჯელობდნენ. რ. უოტსონმა დაფიქსირებულ აცნობა ეს გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლებს, მაგრამ მიიღო პასუხი, რომ ამ ინფორმაციისა „არაფერი არ არის ახალი", მალე კი ფედერალურმა ხელისუფლებამ ბრალად დასდეს ნარკოტიკებს ბაარელად ფლობა და დაპატიმრეს.

რ. უოტსონის ჩვენებისა და სხვა მონაცემების საფუძველზე რ. ოვსი დაკანონებით მოითხოვს მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობის გარემოებათა ახალ გამოძიებას. ამ მოთხოვნით მიმართა მან აშერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს, ამ ინფორმაციის ფასეულობა ეჭვს ბადებს. ეს ინფორმაციის ფასეულობა ეჭვს ბადებს. ეს ინფორმაციის ფასეულობა ეჭვს ბადებს.

ᲡᲐᲙᲐᲓᲔᲡᲘ
ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲓᲐᲜ...

რომი. იტალიაში უკანასკნელი თორეეტი თვის მანძილზე 20 პროცენტით შემცირდა სამრეწველო წარმოება. ამავე პერიოდში დროებით დაითხოვეს ან ნაწილობრივ არასრულ სამუშაო კვირაზე გადაიყვანეს ხელფასის შესაბამისი შემცირებით შვიდჯერ მეტი მშრომელი, ვიდრე გასულ წელს.

პარიზი. ბრეტანის, ნორმანდიის ბევრ სასოფლო რაიონში და საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში შემოდგებულია წყლის ნორმირება. ეს გამოწვეულია გვალვის გამო წყლის სულ უფრო მწვავე ნაკლებობით, რაც საფრანგეთს არ ახსოვს 1906 წლიდან. დაშრა მრავალი პატარა მდინარე, დიდ წყალსატევებში წყლის დონე მკვეთრად შემცირდა.

ბოკაიო. იაპონიის ხავაკრო ფირმების კაპიტალდაბანდება გასულ საფინანსო წელს (1974 წლის აპრილი — 1975 წლის მარტი) მნიშვნელოვნად შემცირდა წინა საფინანსო წელთან შედარებით, რაც ქვეყნის ეკონომიური დაქვეითების ერთ-ერთი მაჩვენებელია.

პანმი. მაიოონის გემთმშენებლები და მეზადურები ჩაებნენ საყოველთაოსახალხო შრომით შეჯიბრებაში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის 30 წლისთავის აღსანიშნავად. ამ შეჯიბრების ფარგლებში ქალაქის გემთმშენებლობის საწარმოებში ვადამდე შეუდგენენ 150-მდე ცხენის ძალის სიმძლავრის ძრავებიანი თევზსაჭერი სეინერების გამოშვებას. ხუთი ასეთი გემი გადაეცა თევზსაჭერ კოოპერატივებს.

ბუენოს-აირესი. 24 ხალათიანი გაფიცვა გამოაცხადა ათასობით ბოლივიელმა მაღაროელმა, რომლებიც მუშაობენ ქვეყნის უდიდეს მაღაროებში „კატავსა" და „სიგლო 20-ში". გაფიცულები მოითხოვენ სასწრაფო ღონისძიებებს ქვეყანაში ხიძვირის მუდმივი ზრდის შესაწყვეტად.

მოგადიშო. ხომალის ქალაქ ჯობარში გაიხსნა ოცდორი დაწყებითი სკოლა, რომლებიც მოსალისთა მონაწილეობით აშენდა.

ვოგადიშო. მუშათა კლასი მთავარი მამოძრავებელი ძალაა სომალის საზოგადოების მშენებლობაში, რომელსაც საფუძვლად დაედება სოციალიზმის პრინციპები, განაცხადა სომალის უმაღლეს რევოლუციური საბჭოს ვიეე-პრეზიდენტმა მუსეინ კულმიე აფრამ, ოფიციალურ აქ გამოვიდა ჩამრეწველო საწარმოებში მუშათა კომიტეტების შექმნის 2 წლისთავთან დაკავშირებით.

სან-ხოსე. ხალვადორის ნაპირებთან ზღვაში ჩაეფინა ნიკარაგუას თევზჭერი „ს-47", რომელიც მეხიკოდან მანაგუაში მიფრინავდა. თვითმფრინავში იყო ნიკარაგუის დელეგაციაც ფეხტბალზე მიმავალი 17 მეექვიკელი მხეხობი. ყველა მგზავრი და ეკიპაჟის ხალი წევრი დაიღუპა. კატასტროფის მიზეზი ჯერჯერობით არ დაუდგენიათ.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲗ, ᲒᲔᲛᲘᲗ, ᲛᲐᲪᲐᲠᲔᲑᲚᲘᲗ

ᲮᲨᲘᲠᲐᲓ გაიგონებთ ასეთ ნათქვამს — კაცი თავის ქვეყანას კარგად არც კი იცნობს და საზღვარგარეთ მიდის უცხო ქვეყნების სანახავად. აბა დაუკვირდით ამ გამონათქვამს, სწორი თუ არ არის.

რამდენი შემთხვევაა, როცა არა თუ საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქები და ცენტრები არ გვინახავს, თვით ჩვენს მშობლიურ მხარეს არ ვიცნობთ კარგად.

და ეს ასეთ დროს ქვეყნის გაცნობასა და მოგზაურობაში, ამ უველაზე საუკეთესო დასვენებაში დიდ დახმარებას გაგიწევს თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო. აქ დაგეხმარებიან არა მარტო შვებულების დრო გამოვიყენოთ მოგზაურობისთვის, არამედ შინაარსიანად გავატაროთ ორდღიანი დასვენებაც — შაბათი და კვირა. და თუ ამ ორ დღეს პარასკევ საღამოსაც დავუმატებთ, შეგიძლიათ იმოგზაუროთ არა მარტო საქართველოში, შორეულ მარშრუტებშიც მიიღოთ მონაწილეობა. საამისოდ ბიუროში მოგზაურობისათვის ტრანსპორტის ყოველგვარ სახეს იყენებენ — ავტობუსი იქნება ეს, მატარებელი, თვითმფრინავი თუ გემი.

თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროს დირექტორი გ. ᲔᲚᲔᲑᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ გვაცნობს მოგზაურობისთვის გათვალისწინებულ საექსკურსიო მარშრუტებს.

თვითმფრინავით შორეული ექსკურსიები შეიძლება მოეწყოს კიევში, რიგაში, მინსკში, ვოლგოგრადში, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში.

მუშავდება ახალი საავიაციო სამდღიანი დასვენების მარშრუტი — თბილისი-ოდესა. ამ მარშრუტის თვითმფრინავით ტურისტები მიემგზავრებიან ოდესაში, ერთი დღე ოდესიდან გემ „ბელინსკით“ შავი ზღვის სანაპიროს გავლით გაისეირნებენ დუნაიზე, ჩავლენ ქალაქ ვილკოვოში, შემდეგ ბრუნდებიან ოდესაში და აქედან ისევ თვითმფრინავით — თბილისში.

დასვენების დღეების მარშრუტებში შედის მოგზაურობა თბილისი-სიმფეროპოლი. ტურისტები სიმფეროპოლამდე თვითმფრინავით მიემგზავრებიან, აქედან ტროლეიბუსით გაივლიან 100 კილომეტრს, ჩადიან იალტაში, შემდეგ სევასტოპოლში, დათვალიერებენ გმირი ქალაქის ღირსშესანიშნაობებს და იმავე დღეს ბრუნდებიან სიმფეროპოლში, აქედან კი თბილისში. სულ ამ მოგზაურობას 3-4 დღე დასჭირდება.

წელს პირველად მოეწყობა 15-დღიანი საავიაციო მოგზაურობა ბაიკალზე.

დიდი პოპულარობით სარგებლობს შავი ზღვის სანაპიროზე გემით მოგზაურობა. ექსკურსანტების განკარგულებაშია ხომალდები „მოთა რუსთაველი“, „როსია“, რომლებიც მოძრაობენ ასეთი მარშრუტით: სოხუმი-ოდესა- ნოვოროსიისკი-ბილტა-ოდესა-სოჩი-ბათუმი. გემ „ბარგუზინით“ 20-დღიანი მოგზაურობის დროს ტურისტები გეეცნობიან ვოლგისპირთის ქალაქებს.

თბილისელ „ბელორუსეთით“ რომელშიც მიმოსვლა დაიწყება შავ ზღვაზე ბათუმიდან ოდესამდე, შეიძლება 250-მა მანქანის მფლობელმა ტურისტმა იმოგზაუროს.

მუშავდება ახალი ტურისტული მარშრუტები მდინარე დნეპრზე. 18 აგვისტოდან პირველი „საქართველო“, ხომალდი ეწყობა ათდღიანი ექსკურსია ახალი მარშრუტით ლენინგრადი-კიევი.

შორეული რეისებისათვის ფართოდ არის გამოყენებული ტურისტული მატარებლით მოგზაურობა. სულ ახლახან 20-დღიანი მოგზაურობიდან დაბრუნდა ტურისტული მატარებელი „საქართველო“, რომლითაც რესპუბლიკის 400-მა პედაგოგმა იმოგზაურა ლენინური მარშრუტით: თბილისი-ვოლგოგრადი-ულანოვსკი-უფა-ყაზანი-კუიბიშევი, ლენინგრადი-ნოვგოროდი-ხარკოვი — როსტოვი-თბილისი.

დასვენების დღეებში გთავაზობთ წინებულია მოეწყოს ტურისტული მატარებლით ექსკურსია სოხუმში, სადაც ტურისტები ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერების გარდა, ნახავენ აგრეთვე ახლახან გახსნილი ახალი ათონის მიწისქვეშა მღვიმეს.

შაბათ-კვირის დღეებში განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ქალაქგარეთ ექსკურსიებზე. თბილისელთა განკარგულებაშია 100-ზე მეტი ავტობუსი. ექსკურსიები ეწყობა კახეთში, გარეჯაში, ქუთაისში, შორეულ კიევში, ორჯონიკიძეში, კისლოვოდსკში და სხვა მომართულებით.

ჩვენი ექსკურსანტების გარდა, ბიუროს მუშაკები ეწესახურებიან აგრეთვე თბილისში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ტურისტ-ექსკურსანტებს.

ამ ზაფხულს ჩვენს დედაქალაქში ყოველდღიურად თვითმფრინავით, ავტობუსით თუ მატარებლით ჩამოდის 1,000-მდე ტურისტი. ბიუროს მუშაკები მათ ახვედრებენ ავტობუსებს, ათვალიერებინებენ ქალაქს, უზრუნველყოფენ სასტუმროთი და კვებით. ამ საქმის ორგანიზაციისათვის ბიუროს წინასწარ წლის დასაწყისში აქვს ხელშეკრულება დადებული საბჭოთა კავშირის დიდი ქალაქების საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროებთან და ორგანიზაციებთან.

— უნდა მოგახსენოთ, — გვეუბნება ბიუროს დირექტორი გ. მღებრიშვილი — რომ ჩამოსული ტურისტების მომსახურებაში საქმე მთლად კარგად ვერა გვაქვს. ხშირად გვაძლევენ ტექნიკურად მოუწესრიგებელ, ავტომანქანებს, რომლებიც გზაში ფუჭდება, დასვენების დღეებისათვის გამოყოფილი მატარებლები ხშირად ვერ აკმაყოფილებენ ტურისტების მოთხოვნილებებს.

არასაბრძოლო მდგომარეობაა ტურისტებისთვის სასტუმროებისა და სასადილოების მხრივაც. რატომ არ შეიძლება, მაგალითად, რომ თბილისში რომელმე პროსპექტზე მოეწყოს სპეციალური სასადილო „ტურისტი“, სადაც ჩამოსულებს მოვიმსახურებით.

უნდა ითქვას ისიც, რომ თბილისი ერთადერთი ქალაქია, სადაც ტურისტულ რეკლამას ნაკლებად ეძლევა ყურადღება. არა გვაქვს სარეკლამო ფურცლები, ბუკლეტები, სპეციალური ჟიხერები, სადაც ბიუროს მუშაკები კონსულტაციას გაუწევენ ტურისტ ექსკურსანტებს, მიაწვდიან მათ სათანადო ინფორმაციას ამა თუ იმ სამოგზაურო მარშრუტებზე, გაასეიდიან საგზურებს. ნაკლი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს, მაგრამ დასვენებისთვის მოგზაურობა, ქვეყნის გაცნობა ნამდვილად სასარგებლო საქმეა.

ვიმოგზაუროთ, შევისწავლოთ ჩვენი დიდი ქვეყანა!

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ — ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘ.

Ხ. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ფოტო.

ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲒᲐᲪᲝᲪᲮᲚᲔᲒᲣᲚᲘ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲗᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ

გ. ᲜᲐᲮᲣᲪᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲚᲔᲡᲔᲚᲘᲫᲔ“ ᲠᲙᲘᲜᲝᲒᲖᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ რკინიგზელთა სახალხო თეატრმა თავის მორიგ სპექტაკლად გ. ნახუცრიშვილის „გენერალი ლესელიძე“ წარმოადგინა.

პიესაში ცოცხლად, რეალურად და დამაჯერებლად არის ასახული გამოჩენილი ქართველი მხედართმთავრის გენერალ კოსტანტინე ლესელიძის საფრონტო ცხოვრება, მისი და მისი ხელმძღვანელობით არსებული საარმიო ნაწილების გმირული საბრძოლო ეპიზოდები. ეს პიესა ადრეც დადგა ქართულ მოზარდ მაყურებელთა და თელავის სახელმწიფო თეატრებში და დიდი წარმატებაც ჰქონდა.

სწორად მოიქცა თბილისის რკინიგზელთა სახალხო თეატრი, როცა პიესას კვლავ დაუბრუნდა და სცენაზე ერთხელ კიდევ გაიცოცხლა სახელოვანი მებრძოლის, ჯარისკაცთა და ოფიცერთა დიდი მეგობრის და სახალხო მეთაურის — კ. ლესელიძის დაუვიწყარი სახე.

სპექტაკლი დადგა ამ თეატრის ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის ფესტივალის ლაურეატმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა შ. კიკნაძემ. მხატვრულად გააფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ასკურავამ და ზ. ნოზაძემ, მუსიკალურად რ. გეგენავამ.

სპექტაკლში, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია თვით გენერალ ლესელიძის როლის შემსრულებელი მ. კიკნაძე, რომელმაც მოახერხა დამაჯერებლად გადმოეცა სახელოვანი გენერლის სახე.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ომის ვეტერანების, რესპუბლიკის ფესტივალის ლაურეატების შ. ჯანიაშვილის (ილია), ვლ. მეიშვილის (მოხუცი და შემდეგ გეშავი) მსახიობური ოსტატობა. მოწოდების ღირსი არიან თავიანთ როლებში ა. ხელელიძე (პოლკოვნიკი), ვ. ლებანიძე (სმირნოვი), რ. კალაძე (დუბროვინი), ლ. ჩიხლაძე (ეკიმი და შემდეგ ჭაღარა ქალი). ც. ჯავახიშვილი (ლელა), ც. მოსიანი (ეკიდოკია), ნ. ბოჭორიძე (ბარუსია), ნ. გაგლოშვილი (პრასკოვია), თ. წულაია (ფონ კლეინი), ა. ელიზარაშვილი (ზვარეკოფი), გ. ოსეფაიანი (მაიორი ბერკმანი), ვ. პაპიაშვილი (ოთარ ლესელიძე), დ. ბოკორიძე (ნოდარ ფასუკიძე), ა.ა. ძუგაევი (ოტო შულეი) და სხვები.

სპექტაკლის ყველა მონაწილე დიდი მონდომებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით მოჰკიდებია თავის როლს და ამიტომაც არის, რომ სპექტაკლი თეატრალურ ზეიმად გადაიქცა, რასაც მაყურებელთა გულწრფელი ტაში და ოვაციებიც ადასტურებს.

ნ. ᲙᲔᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ თეატრალური სეზონის ბოლო პრემიერად მახარაძის ალ. წულუკიძის სახელობის საარაინთაშორისო სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს უნვენა ემელიან ქურდიანის ჰეროიკული კომედია „თოთელი ეკიმი“.

სპექტაკლის დადგმა განახორციელა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ს. ახალაძემ, მუსიკა დაწერა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კომპოზიტორმა ო. თევდორაძემ, მხატვრულად გააფორმა რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა შ. ხუციშვილმა, ქორეოგრაფია რეს პუბლიკის დამსახურებული არტისტი ს. მიზაძე.

სპექტაკლში მთავარი როლი წარმატებით შეასრულა ახალგაზრდა მსახიობმა ზ. თოთიბაძემ.

(„კომ.“ კორ.).

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ თეატრალური სეზონის ბოლო პრემიერად მახარაძის ალ. წულუკიძის სახელობის სარაინთაშორისო სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს უნვენა ემელიან ქურდიანის ჰეროიკული კომედია „თოთელი ეკიმი“.

სპექტაკლის დადგმა განახორციელა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ს. ახალაძემ, მუსიკა დაწერა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კომპოზიტორმა ო. თევდორაძემ, მხატვრულად გააფორმა რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა შ. ხუციშვილმა, ქორეოგრაფია რეს პუბლიკის დამსახურებული არტისტი ს. მიზაძე.

სპექტაკლში მთავარი როლი წარმატებით შეასრულა ახალგაზრდა მსახიობმა ზ. თოთიბაძემ.

(„კომ.“ კორ.).

„ᲙᲝᲛᲔᲢᲐ-668“ — ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ფოთის გემშენაკეთებელი ქარხნის მთავარი საკონვეიერო დოკიდან წყალში რაუშეს წყალქვეშაფრთიანი სწრაფმავალი ხომალდი. ახალი ტიპის გემის ქიმზე ჩანს წარწერა „კომეტა-668“. იგი დამზადებულია ლენინგრადის საერთაშორისო გამოფენისათვის „ნრიბპრომ-75“, რომელიც სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროს და მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების საგაჭრო ფირმების მონაწილეობით გაიმართება ადვილტოში.

ამ გამოფენაზე ფართოდ იქნება წარმოდგენილი მრავალი ექსპონატი, მათ შორის დამთვალიერებლები პირველად იხილავენ „კომეტის“ ახალ, უნიკალურ ნიმუშს.

„კომეტა-668“ ფოთიდან გეზი ლენინგრადისაკენ აიღო. იგი გაივლის სიცუს, ნოვოროსიისკს, ედანოვს, სადაც მას აიტანენ 500 ტონა წყალწყვის თბომავალ „ვოლგა-დონზე“, რომელიც ლენინის ქალაქამდე დაიწენილ გზას 16 დღეში გაივლის.

გამოფენის გახსნამდე „კომეტა-668“ ნევა-ფინეთის საცურაო რაიონის შესწავლის მიზნით მოაწყობს რამდენიმე გასვლას. აქედ მოეწყობა საზღვარგარეთის ქვეყნების ფირმების წარმომადგენლებთან საგაჭრო კონტაქტების გაფორმება. გამოფენის დახურვის შემდეგ იგი ნახიდობის ხელშეკრულებით პოლონეთს გადაეცემა.

Ჯ. ᲙᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔ.

□

ᲛᲝᲫᲠᲐᲕᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ — ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲐᲓ

ᲐᲮᲛᲔᲢᲐ. (საკ. კორ.). სოფელ შროშის ცხარე დღეებია, აბინავებენ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პიონერებს, ითვისებენ სიმინდი, ბაღჩეულ-ბოსტნეული, ამზადებენ პიონერიკის საკვებს. რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმაც თავიანთი მუშაობა მინდვრად გადაიტანეს.

სარაიონო კულტურის სახლთან არსებული აგიტმხატვრული ბრიგადა (ხელმძღვანელი ც. თენმეული), რომელიც მოსაელის აღებასთან დაკავშირებით მოძრაკულუბად გადაკეთდა, მინდვრის მშრომელთა ხშირი სტუმარია. კლუბი უკვე ეწვია ოყთოს, ზემო ხოდამნის, ახმეტის, პანკისისა და სხვა საბჭოთა მეურნეობების მშრომელებს, სადაც გაართვა კონცერტები და საუბრები.

მინდვრად მოწყობილი წითელი კუთხეები კეთილ სამსახურს უწევენ მშრომელებს ახალი ამბების გაცნობასა და გონივრულ დასვენებაში.

Ა. ᲗᲕᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

□

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ

ᲠᲝᲒᲐ ᲒᲐᲨᲒᲭᲣᲠᲐ ᲣᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ ᲛᲘᲐᲢᲝᲕᲐ...

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. (საკ. კორ.). სოფელ ᲭᲕᲔᲚᲘᲠᲘᲜᲐ მცხოვრებ ს. მუკანიანის სახლში ცეცხლის ალი ავარდა. მიზეზი უყურადღებოდ მიტოვებული ანთებული გაჩქარა იყო.

ხანძარი თანდათან გაძლიერდა, მშველელი კი არ ჩანდა. მეზობლები საკომლეურნეო მინდვრებში იყვნენ წასული. ბედად შემთხვევის ადგილზე ჩოლურის საუბნო საავადმყოფოს ავტომანქანა გაჩნდა, სქელ კვამლში სწრაფად შეიჭრნენ მძღოლი ო. მუკანიანი და მისი თანამხლები ი. ბაბელიანი. მალე მეზობლებიც მოვიდნენ და ხანძარი ჩაქრეს. სახლი და ავეჯი დაწვას გადაურჩა.

Თ. ᲪᲘᲠᲘᲙᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲡ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲐ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲪᲘᲒᲘᲕᲔᲜᲐ

ᲯᲔᲠ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე დიდი ლენინი ამბობდა: „სანიტარია ეს ყველაფერია, ეს ყველა დაავადების პროფილაქტიკაა“.

ამიტომაც არის, რომ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სისტემაში, რომელსაც საბჭოთა ხელმძღვანელობის დაცვის ორგანიები ახორციელებენ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი გარემოს სანიტარულ დაცვას, დასახლებული ადგილების სანიტარულ კეთილმოწყობას, ინფუქციურ, განსაკუთრებით მწვავე ნაწლავურ დაავადებებთან ბრძოლას უჭირავს.

ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკაში მრავალი ღონისძიება ხორციელდება. ბევრ დასახლებულ პუნქტში, სოფელში თუ ქალაქში, საწარმო-დაწესებულებებმა, ხალხგადოებრივი კვებისა და საბჭერო ობიექტებზე სათანადო სანიტარული წესრიგი დამყარდა.

მეუხედავად ამისა, ეს მუშაობა. სრულიადაც არ ბრის საკმარისი და არ უპასუხებს დღევანდელ მოთხოვნებს.

შემოწმებამ დაგვანახვა, რომ მთელმა რიგმა ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა და სხვა ორგანიზაციებმა ვერ უზრუნველყვეს სანიმუშო სანიტარული წესრიგის დამყარება დაკვეძლებარებულ ობიექტებზე, ვერ გადაჭრეს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხი. უფრო მეტიც, თავიანთ ობიექტებზე არსებულ სანიტარულ უწესრიგობას შეეჩვევნენ და დანაშაულებრივ უმოქმედობას იჩენენ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

აბა სხვაგვარად როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ დასახლებული ადგილების მნიშვნელოვანი ნაწილი არ იგვეშა, არასაკმარისია დასუფთავების ტექნიკური საშუალებები, მოუგვარებელია საკანალიზაციო მეურნეობა, შეფერხებებია წყალმომარაგებაში...

ბევრ დასახლებულ ადგილს, მათ შორის ქალაქ თბილისშიც გვხვდება ნუბადაურთველი ნაგვის საყრელი ადგილები, რომელთა სალიკვიდაციოდ რაასაბჭოები, მათი დასუფთავების კანტორები, მილიციის ორგანოები და სანეიმისაგდგურები ქმედითს ზომებს არ იღებენ.

რესპუბლიკის ოფიციალურად გამოყოფილი 101 ნაგვისსაყრელი ადგილიდან 59-ის სანტარული მდგომარეობა არ უპასუხებს. ამირო მოთხოვნილებებს და ისინი ფაქტიურად ინფექციის გავრცელების კერას წარმოადგენენ (თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ქობულეთი, ცხინვალი, რუსთავი, ჭიათურა, ტყიბული და სხვ.). ყოველივე ეს ხელს უწყობს მორნენელების, ბუზების, მავნე მწერების გავრცელებას.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა წყალმომარაგ ე ბ ი ს მხრივაც. 115 კომუნალური და 1.187 საუწყებო და სასოფლო წყალსადენიდან სანიტარულ მოთხოვნილებას ვერ უპასუხებს 17 კომუნალური და 656 საუწყებო და სასოფლო წყალსადენი.

მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები წლების განმავლობაში არ ასრულებენ წყალსადენების, კანალიზაციისა და გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის გეგმებს, რაც ხერხიოულ საფრთხეს ქმნის. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ამბულატორიების მშენებლობისა და არსებულის ექსპლოატაციის მხრივაც (ყვარის ასსრ, თელავის, ზაზურის, წყალტუბოს რაიონები და სხვ.).

ნაწლავთა მწვავე ინფექციების და კვებითი მოშხამვების პროფილაქტიკაში დიდი როლი ენიჭება საკვები პროდუქტების დამზადების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის სწორ ორგანიზაციას, სათანადო სანიტარული წესების დაცვას.

საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით. შეიძლება ახსნას ის გარემოება, რომ შემოწმებულ 8.403 კვების პროდუქტების მწარმოებელ და სარეალიზაციო ობიექტიდან გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში მუშაობისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა 2.014 ობიექტი. ბევრი საინსპექტოროსა და უწყებების ობიექტებზე შექმნილი არ არის მოსახლეობის მომსახურების სათანადო სანიტარული პირობები, უხეშად ირღვევა პროდუქტების შენახვისა და რეალიზაციის წესები, მოუგვარებელია სამაცივრო მეურნეობა, უხარისხოდ ირეცხება ჭურჭელი, აკლიათ ინვენტარ-მოწყობილობა.

ამიტომ იყო, რომ სანეიმისადგურის მუშაკები იძულებული გახდნენ მარტო ერთი ჩატარებული რეიდის დროს დროებით ან მუდმივად შეეჩერებინათ 300-მდე ობიექტის ექსპლოატაცია და დაეკარიბებინათ სახოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის 2.000-მდე მუშაკი, ხოლო სანიტარული წესრიგის უხეშ დამრღვევთა საქმეები გადაეცათ სავამოძიებლო ორგანოებისათვის. არასახარბიელო მდგომარეობაა რესპუბლიკის ტურისტულ ტრასებზე და მასობრივი დასვენების ადგილებში განლაგებულ კვებისა და კომუნალური მომსახურების ობიექტებზე (ბაღლის, ოჩამჩირის, გულრიფშის, ზუგდიდის, ხაბოროწუს, მცხეთის, ქარელის, გურჯაანის, მახარაძის, თელავის, სოღნაღის, ბორჯომის რაიონები; გორი, სოხუმი, სამტრედია ხაშური და სხვა ქალაქები).

აღშფოთებას იწვევს პანტიანის, ზედაზნის, მწვანე კონცხის, ჯაკეთის, ბარისახოს, ჯავის, ცეგის ბეინერთა ბანაკების ხელძღვანელთა მოქმედება, რომლებმაც შეუფერებელ პირობებში და, რაც მთავარია, სანეიმისადგურის უნებართვოდ გახსნეს ბანაკები, ხოლო შესაბამის პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა (ავტოტრანსპორტისა და გზატეხილების, სოფლის მეურნეობისა და დამზადების, განათლების, საბიუჯეტო და საფინანსო მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობის) ამ საქმეს სათანადო ყურადღება არ მიაქცევეს.

მწვავე ნაწლავურ ინფექციების და კვებითი მოშხამვების შემთხვევაცა ანალიზი გვიჩვენებს, რომ უმეტესად დაავადების მიზეზია ზოგიერთი მოქალაქის წინდაუხედაობა. უკანასკნელ ხანს არაერთ ოჯახში ჰქონდა ადგილი დაავადების შემთხვევას, გამოწვეულს ბრაკონიერებისაგან ნაყიდი თევზით, ვეტსამსახურის მიერ შეუმოწმებელი ბორცით, შინ დამზადებული კონსერვებით და სხვ.

შეშფოთებას იწვევს ისიც, რომ მიუხედავად აკრძალვისა თბილისის მოსახლეობის ნაწილი კვლავ განაგრძობს თევზის ჭერას და ბანობას მდინარე მტკვარზე.

ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲐᲛᲘᲜᲓᲔᲑᲘ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲡ ᲥᲛᲜᲘᲡ ᲛᲫᲘᲜᲐᲕᲘ ᲜᲐᲬᲚᲐᲕᲣᲠᲘ ᲘᲜᲤᲔᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲐᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (ᲓᲘᲠᲘᲜᲘᲢᲐᲠᲘᲜᲐ, ᲛᲣᲪᲚᲘᲡ ᲢᲘᲤᲘ, ᲥᲝᲚᲔᲠᲐ...).

თანამედროვე მიმოსვლის საშუალებები არ გამორიცხავენ ამ დაავადებების შემტანანსა და გავრცელების საშიშროებას. ამიტომ ახლა, როცა ზაფხული ძალაშია, ყველა ზომა უნდა მივიღოთ, იმისათვის, რომ სანიმუშო სანიტარული წესრიგი სუფევდეს ყველგან.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, თავისთავად არ მოვა. თვითეული ჩვენგანი მოვალეა თვალყური ადევნოს და პირადად მონაწილეობდეს სანიტარული რეჟიმის მტკიცედ დაცვაში, აქტიურად ებრძოლოს ჭანჭოლობის დაცვისა და სხვა ორგანიზმს ამ მეტად მნიშვნელოვანი საქმის მოწესრიგებაში.

ადგილობრივმა საბჭოებმა ქმედითი ზომები უნდა გასახორციელონ საცხოვრებელ ყვარტალებს, ეზოებს, ეზოებს, ცალკეულ ორგანიზაციებს შორის შეჯიბრების გასაჩაღებლად.

ზაფხულის დღეებია — სანიტარული წესრიგის დასამყარებლად ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ამიტომ თვითეული მოქალაქის პატრიოტული მოვალეობაა გვერდში ამოუდგეს პარტიულ, საბჭოთა და საფეურნეო ორგანიზაციებს, აგრეთვე სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ორგანოებს და თავისი ყოველდღიური წვლილი შეიტანოს ამ დიდმნიშვნელოვან სახალხო საქმეში.

Მ. ᲠᲐᲞᲘᲜᲝᲕᲘ.

საქართველოს სსრ კავშირთელმობის დაცვის მინისტრის მოადგილე, რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარული ექიმი.

ᲤᲔᲮᲑᲣᲗᲘ

ᲮᲣᲗᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ „Ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები. კვირას შედგა სამი მატჩი. ეს მაჩვენებლები:

„ᲞᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ“ — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ Თ. — 2:1

„ᲖᲝᲜᲘᲢᲘ“ — „ᲖᲐᲠᲘᲐ“ — 0:0

„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“ — „ᲨᲐᲮᲢᲘᲝᲠᲘ“ — 0:0.

გუშინ მოსკოვსა და როსტოვში გაიმართა კიდევ ორი შეხვედრა:

ᲪᲡᲙᲐ — „ᲙᲐᲡᲝᲠᲘ“ — 2:1

ᲡᲙᲐ — „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘ“ — 0:0.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

ᲒᲔᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲡ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა სპორტის ხაზოვანი-ტექნიკურ სახეობებში. კვირას შაშკინაში ამოწერა შეჯიბრება ავტომრავალჭიდში.

საქართველოს დოსაფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. შავნბერაძემ განაცხადა:

— ტაშკენტიდან მიღებული ცნობით საქართველოს ავტომრავალჭიდელებმა გუნდურ შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავეს, რაც დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. პირადი ჩათვლაში ჩვენი გუნდის წევრმა მადგენელმა გ. გოგაძემ მსუბუქი ავტომანქანით (3-24) ასპარეზობაში ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო ნ. მაისურაძემ მეექვსე ადგილი დაიკავა სატვირთო მანქანით (ᲖᲘᲡ-51) შეჯიბრებაში.

ᲛᲝᲚᲝᲓᲔᲯ

ᲙᲐᲚᲐᲗᲝᲖᲣᲠᲗᲘ. ხაბჭოთა ეკუთა გუნდი ოთხი ჭოლეთი ლიდერობს საკონტინენტალთაშორისო თასის პირველ გათამაშებაში. უკანასკნელ მატჩში ლენინგრადის სპორტის სასახლეში ჩვენმა ნაკრებმა დაამარცხა აშშ-ის გუნდი — 86:72. ახლა საბჭოთა კალათბურთელები ოკეანეს გადმა გაემგზავრებიან, სადაც საპასუხო ნაკრებში შეხვდებიან ბრაზილიელებს, მექსიკელ, კანადელ და აშშ-ის გუნდებს. პირველი თამაში ბრაზილიაში შედგება 12 აგვისტოს.

ᲬᲘᲚᲙᲐᲚᲬᲠᲗᲘᲗ. კანადის ქალაქ გამილტონში საბჭოთა წყალბურთელებმა წინასაოლიმპიადო ტურნირის შესამე მატჩი ჩაატარეს — ამჯერად კანადელებთან — და კვლავ გამარჯვებ ანგარიშით 13:4.

ᲠᲔᲒᲑᲘ. კვირას გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი მატჩები. თბილისში იდგილობრივმა „ლოკომოტივმა“ მიიღო გათამაშების ლიდერი — მოსკოვის „ფილი“. დაძაბული ორთაბრძოლა მოიგეს სტუმრებმა — 10:6 (10:3), რითაც კიდევ უფრო განიმტკიცეს თავიანთი სატურნირო მდგომარეობა. თბილისის „ვეერია“ ლენინგრადში ეთამაშებოდა „ბურევესტნიკს“ და გაიმარჯვა ანგარიშით 15:6.

ᲛᲫᲚᲝᲠᲜᲝᲑᲐ. დასავლეთ გერმანიის ქალაქ ანნოვერში მიმდინარეობს საერთაშორისო შეჯიბრება. ბადროს ტყორცნაში ყველას აჯობა მსოფლიოს რეკორდსმენმა, მოსკოველმა ფაინა მელნიკმა — 69,02 მეტრი. 100 მეტრზე რბენაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, კიეველმა ვალერი ბორზოვმა — 10,6 წამი. ნიგრძეზე ხტომა მოიგო დონეცკელმა ვალერი პოდლუჟნიმ — 801 სმ, ხოლო ჯოჯა ამბასთორეანი 4×100 მეტრზე — საბჭოთა ნაკრებმა.

ᲜᲘᲪᲦᲝᲚᲜᲝᲑᲐ. ექვსი ოქროს, სამი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს შედეგი მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა იუგოსლავიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბაიდარკესა და კანოეთი. კსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ ერთიანულებში — ფენეროპეტროვსკელი ვ. ეფიმენკო, ოდესელი ს. პეტრენკო, წყვილებში — ვილნიუსელი ვ. ბესონოსი და დუშანბელი ი. ლობანოვი, მოსკოველი ა. ვინოგრადოვი და დუშანბელი მ. ლობანოვი, ვ. ვორობიოვი (როგორ ჩოვი) და ნ. ასტაპკოვი (მინსკი).

ᲮᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო